

ბავშვები და ტყვიით მოწამვლა

რა უნდა იცოდეს
თითოეულმა მშობელმა



ტყვია საწამლაგია

ხშირად, ძველი საღებავი შეიცავს ტყვიას. ტყვიის შემცველი საღებავი და მტვერი, რომლადაც იგი იქცევა, არის ყველაზე ხშირი წყარო ბავშვებში ტყვიით მოწავლისა ნიუ-იორკში.

ჩამოფხეკის, დაბზარვის ან გაფრქვეული საღებავის, სახლის გარემონტების შედეგად წარმოქმნილი ტყვიის მტვერი შესაძლოა დარჩეს ფანჯრის ზღურბლებზე, იატაკებზე და სათამაშოებზე. როდესაც ბავშვები იატაკზე თამაშობენ, ხელებსა და სათამაშოებს პირში ათავსებენ, მათ შეიძლება გადაყლაპონ მტვერი.

ტყვიას ასევე შეიცავს ზოგი სამომხმარებლო პროდუქტი, ნიადაგი და სანტექნიკა.

ტყვიას შეუძლია გამოწვიოს სწავლებისა და ქცევითი პრობლემები ბავშვებში. ბავშვების უმრავლესობა, რომლებიც მოიწამლნენ ტყვიით, არ გამოიყურებიან ავად და არ გრძნობენ თავს ცუდად. ერთადერთი გზა, რომლითაც შესაძლებელია ტყვიით მოწამვლის დადგენა, არის სისხლის ანალიზი ტყვიის შემცველობაზე.



დაიცავით თქვენი შვილი

- შეახსენეთ თქვენს პროვაიდერს ჩაუტაროს ბავშვს სისხლის ანალიზი ტყვიის შემცველობაზე 1 და 2 წლის ასაკში, ასევე მოითხოვეთ უფროსი ბავშვების შემოწმება. დარეკეთ **311** პროვაიდერის მოსამბნად.
- აცნობეთ თქვენი ბინის გამქირავებელს ჩამოფხევილი საღებავის შესახებ. თუ პრობლემა არ მოგვარდა ან, თქვენი აზრით, სარემონტო სამუშაოები არ ტარდება უსაფრთხოდ, დარეკეთ **311** და მოითხოვეთ უფასო ინსპექტირება.
- ხშირად გარეცხეთ იატაკები, ფანჯრის ზღურბლები, სათამაშოები, და დაიბანეთ ხელები.
- სახლში შესვლამდე, გაიხადეთ ფეხსაცმელი.
- ნუ გამოიყენებთ ისეთ პროდუქტებს უცხო ქვეყნებიდან, რომლებიც შესაძლოა შეიცავდნენ ტყვიას, მაგალითად, გარკვეულ საკვებს, სანელებლებს, მედიკამენტებს, კერამიკას, კოსმეტიკურ საშუალებებს, სათამაშოებსა და ამულეტებს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ცივი ონკანის წყალი საბავშვო ფორმულის მოსამზადებლად, დასაღევად ან საკვების მოსამზადებლად. მოუშვით წყალი სულ მცირე 30 წამით, სანამ წყალი არ გაგრილდება. დარეკეთ **311** იმისთვის, რომ მიიღოთ უფასო ტესტირების ნაკრები დასაღევ წყალში ტყვიის შემცველობაზე. წყლის ნიმუშის ჩაბარების შემდგომ 30 დღის ვადაში მიიღებთ შედეგს.
- კარგად დააბალანსეთ თქვენი შვილის კვება. გაესაუბრეთ თქვენს პროვაიდერს იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენი შვილი იღებს საკმარისი რაოდენობის კალციუმს, რკინას და C ვიტამინს.



დამატებითი ინფორმაციის მისღებად
დარეკეთ ნომერზე **311**, ან ეწვიეთ
ვებსაიტს nyc.gov/lead.

NYC[™]
Health